



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 1973  
22/08/2019

1973-02-4-201908221623



### ქ. ონში კახაბერის ქუჩა N 7-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ამხანაგობა „კახაბერის 7“-სათვის მისაკუთვნიებული მიწის ნაკვეთის საზღვრების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს N261 დადგენილებით დამტკიცებული მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა და შპს „ტოპო-ლაინის“ მიერ მომზადებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ქ. ონში კახაბერის N7-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ამხანაგობის - „კახაბერი 7“- მიწის ნაკვეთის საზღვრები, ფართობით -1325მ<sup>2</sup> .
2. მიწის ნაკვეთი დადგინდეს შემდეგ საზღვრებში: შენობას სამხრეთით ესაზღვრება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის საფეხმავლო ნაწილი, დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრება საერთო სარგებლობის გზა (ე.წ „ჩიხი“), ხოლო ჩრდილოეთით საზღვარი გადის კერძო მესაკუთრეების საკარმიდამო ნაკვეთებთან.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს თანახმად.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

